


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 19 362,6 მლნ ლ



www.mof.ge


- 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი - 6.0%
- მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) - 64.8 მლრდ ლარი
- მთავრობის ვალი პროცენტულად მშპ-სთან - 51.1%
- სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეპიციტი პროცენტულად მშპ-სთან - 4.2%
- კაპიტალური ხარჯები პროცენტულად მშპ-სთან - 9.1%
- მიმდინარე ხარჯები პროცენტულად მშპ-სთან - 22.8%
- მშპ დეფლატორი - 4.5%
- ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 2023-2025 წლებში - 3.0%




სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 19 171,1 მლნ ლ



ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. 2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე ეკონომიკის შემცირება (მშპ-ის 6.8%), ასევე პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროება პირდაპირ აისახა, როგორც ბიუჯეტის შემოსავლების, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავლების, ასევე ხარჯების მოცულობაზე და 2020-2024 წლების საშუალოვადიანი პროგნოზები საფუძვლიანად შეიცვალა





დაგეგმილი ღონისძიებები

- ❖ 2022 წლის პირველი იანვრიდან გათვალისწინებულია:
 - 70 წლამდე პირთა პენსიის ზრდა 20 ლარით და განისაზღვრა 260 ლარი ოდენობით;
 - 70 წლის და მეტი ასაკის პირებისთვის პენსია იზრდება 25 ლარი და განისაზღვრება 300 ლარის ოდენობით
- ❖ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 120 000-ზე და რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ), ხორციელდება ყოველთვიური დახმარების გაცემა გაზრდილი (50 ლარიდან 100 ლარამდე) ოდენობით.
- ❖ 2021 წლიდან დაიწყო და შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდისთვისაც გაგრძელდება სასწრაფოს ბრიგადების თანამშრომლების (4 500 თანამშრომელი) და სოფლის ექიმების/ექთნების (3 000 სოფლის ექიმი/ექთანი) სამედიცინო დაზღვევის თანადაფინანსება (25 ლარის ოდენობით).

იპოთეკური სესხების პროცენტის სუბსიდირების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ 2020 წლის ივნის-დეკემბერში აღებულ 200 000 ლარამდე იპოთეკურ სესხებზე პროცენტის სუბსიდირება განხორციელდება 5 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთს მინუს 4%-ის ოდენობით



COVID-19-ის მართვასთან (სამედიცინო დაწესებულებების მობილიზება, მკურნალობის ხარჯები, ტესტირება და კვლევები, ვაქცინაცია და სხვა) დაკავშირებით ბიუჯეტი განსაზღვრულია 500.0 მლნ ლარით

